

შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრი“

სააღრიცხვო პოლიტიკა

1. ზოგადი დებულებები

1.1 საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებულია ქ. ზესტაფონის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2011 წლის 15 აპრილს.

საიდენტიფიკაციო ნომერი 430024840

მისამართი: ზესტაფონი ქანტურიას ქ. 42.

საზოგადოების საწესდებო კაპიტალია 5656641 ლარი, ფულადი (4906641 ლარი) და არაფულადი ქონებრივი (750000 ლარი) შენატანებით.

1.2 საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს :

საკუთარი უძრავი ქონების გაქირავება და მართვა

1.3 საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე;

- საქართველოს კანონი „ მეწარმეთა შესახებ“
- საქართველოს კანონი „ ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“,
- ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

1.4 ეს სააღრიცხვო პოლიტიკა მოქმედებაშია 2020 წლის 01 იანვრიდან და მოქმედებს საწარმოს ფუნქციონირების მთელ პერიოდზე. სააღრიცხვო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს ბასს - ით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

1.5 ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელია საზოგადოების დირექტორი, რომელიც უზრუნველყოფს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორ ორგანიზებას.

2. ბუღალტრული აღრიცხვის შერჩეული ფორმა, ვარიანტები და მეთოდები

2.1 ბუღალტრული სინთეზური

აღრიცხვის ფორმა: კომპიუტერული პროგრამა „ ორის-ბუღალტერიის“ გამოყენებით.

2.2 ბუღალტრული ანალიზური აღრიცხვა ბარათული სისტემით.

2.3 ძირითადი საშუალებების აღრიცხვა:

- ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების, ადგილმდებარეობის, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის პირდაპირ ხარჯებს;
- საკუთარი ძალებით შექმნილი (აგებული, დამზადებული) ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება ფაქტიური თვითღირებულებით;
- ფინანსური იჯარით მიღებული ძირითადი საშუალებები აღირიცხება მისი რეალური ღირებულებით;
- ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით;
- ძირითადი საშუალებების ცვეთის აღრიცხვა: წრფივი მეთოდით;
- ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მისი პირვანდელი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით;

-ძირითადი საშუალებების სალიკვიდაციო ღირებულებასა და სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადას (ან პროდუქციის წარმოების სავარაუდო მოცულობას) განსაზღვრავს დირექტორის ბრძანებით დანიშნული კომისია;

- ძირითადი საშუალებების გადაფასება: ელიმინირების მეთოდით.

2.4 არამატერიალური აქტივების აღრიცხვა

- შეძენილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ნასყიდობის ფასს;

-უსასყიდლოდ მიღებული არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებით;

- საკუთარი ძალებით შექმნილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება ფაქტობრივი თვითღირებულებით;

- ფინანსურ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივი აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით;

- არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია: წრფივი მეთოდით;

- არამატერიალური აქტივის სალიკვიდაციო ღირებულებას და სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადას განსაზღვრავს დირექტორის მიერ დანიშნული კომისია;

- არამატერიალური აქტივის გადაფასება (ელიმინირების მეთოდით).

2.5 სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა

- შეძენილი საქონელი შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს მის შეძენასა და გადამუშავებასთან, ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს.

- საზოგადოების მიერ წარმოებული პროდუქცია შემოსავალში აიღება წარმოების თვითღირებულებით.

- სასაქონლო- მატერიალური ფასეულობა აღირიცხება: უწყვეტი მეთოდით;

- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულებების განსაზღვრის მეთოდი: საშუალო შეწონილი;

- სასაქონლო -მატერიალური ფასეულობა ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

2.6 მოთხოვნების აღრიცხვა.

- გრძელვადიანი და მოკლევადიანი მოთხოვნები აღირიცხება ნორმალური ღირებულებით;

მოთხოვნები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ნეტო (მოსალოდნელი ანაზღაურების)

თანხით, საექვო მოთხოვნების კორექტირებით; საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება წარსული გამოცდილების გათვალისწინებით.

2.7 საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა

- საწესდებო კაპიტალის ცვლილება აღირიცხება წესდებაში შესაბამისი ცვლილებისა და სამეწარმეო რეესტრში გატარების შემდეგ.

2.8 ვალდებულებების აღრიცხვა

- მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდაც მოუწევს საზოგადოებას;

-მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები ბალანსში აისახება წლის ბოლოსათვის გადასახდელი პროცენტის გათვალისწინებით;

- სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მიეკუთვნება იმ პერიოდს, როცა ისინი იქნა გაწეული.

2.9 ინვესტიციების აღრიცხვა

- მიმდინარე ინვესტიციები ბალანსში აისახება: საბაზრო ღირებულებით;

- გრძელვადიანი ინვესტიციები ბალანსში აისახება : თვითღირებულებით;

-გრძელვადიანი ინვესტიციები შემოსავალში აღირიცხება თვითღირებულებით (ფაქტობრივად გაწეული მთლიანი დანახარჯების თანხით).

2.10 შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა

- შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება როგორც დარიცხვის ისე საკასო მეთოდით;
- საკასო მეთოდით შემოსავლებში აღიარდება ერთჯერადი ქვითრებიდან მიღებული შემოსავალი
- შემოსავლები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მისი წყაროების მიხედვით;
- ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით;
- წმინდა მოგების გამოყენება: დივიდენდების გაცემა და სხვა მიზნით გამოყენება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით.

2.11 მოგების გადასახადი

- მოგების გადასახადი იანგარიშება სააღრიცხვო მოგებიდან და აისახება საგადასახადო ხარჯის სახით;
- სააღრიცხვო მოგებიდან გაანგარიშებულ საგადასახადო ხარჯსა და საგადასახადო (დასაბეგრი) მოგებიდან გამომდინარე ბიუჯეტის კუთვნილი მოგების გადასახადს შორის სხვაობა აღირიცხება გადავადებული საგადასახადო აქტივის ან გადავადებული მოგების გადასახადის სახით.

2020წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგაშგება

		ფე	
შემოსავალი უძრავი ქონების გაქირავეებიდან და ერთჯერადი ქვითრები	3	2998047	
სხვა შემოსავალი		45540	
		()	
დანახარჯები სულ		(2186672)	
თანამშრომელთა ხელფასები სხვა გასამრჯელოები		(448570)	
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი		(254898)	
ფინანსური ხარჯი ბანკ %	4	(155789)	
სხვა ხარჯი		(569774)	
ფინანსური ხარჯი/საგადასახადო კურსთა შორის სხვაობა		(757641)	

	2020 წელი ფე

4. ფინანსური ხარჯი /სავალუტო კურსთა შორის სხვაობა/ (757641)

	2020 წელი ფე
ბანკის სესხი პროცენტი	(155789)

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 141709

	2020 წელი ფე
დებიტორები საიჯარო ქირიდან	131749

6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2020 წელი ფე
ნედლეული და მასალები	36417
	36417

7. სულ აქტივები 9583300

	2020 წელი ფე
მეკავშირე საწარმოებზე გაცემული სესხი და დარიცხული პროცენტი	8360

8. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარ ები	ნაგებობ ები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილ ობა	სატრანსპ ორტო საშუალებ ები	სულ
31 დეკემბერი 2019	812115	7378338	36992	795147	42480	207430	9272502
შემოსვლა	0		0	87044	8326	0	95378
გასვლა	0		0		5736	0	5736
ცვეთა	0	138264	3701	61738	4993	46204	254898
31 დეკემბერი 2020	812115	7240074	33291	820453	45070	161226	9112229

9. მიმდინარე სასესიო ვალდებულება

	2020 წელი ფე

10. ბანკის სესხი 3401019

	2020 წელი ფე
სს საქართველოს ბანკის მიერ გაცემული სესხი სრულად დაფარვა გათვალისწინებულია 2023 წელს	3401019

ბანკის ოვერდრაფტი და სესხი უზრუნველყოფილია ჯგუფის საკუთრებაში წრსებული მიწისა და შენობა-ნაგებობების ცვალებადი გირაოთი

ბანკის სესხზე პროცენტის გადახდა ხდება 5. % დამატებული 6 ევს თვიანი ლიბორ მაგრამ არანაკლებ 6 (ექვსი მთელი)

11. სავაჭრო ვალდებულებები

	2020 წელი ფე
სავაჭრო ვალდებულებები	2424

12. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება

	2020 წელი ფე
ვალდებულება 2019 წლის 1 იანვრისათვის	2348
დამატებით დარიცხული წლის განმავლობაში	448570
გასამრჯელოების გადახდა წლის განმავლობაში	(448494)
	2424

13. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები 0

14. საწესდებო კაპიტალი

2019 წლის და 2020 წლის 31დეკემბრისათვის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 5656641ლარი /ხუთიმილიონექვსასორმოცდათექვსმეტიათასექვსასორმოცდაერთი/

ფე-ს .

15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

- 1) კომპანიის 75% წილის მფლობელია შპს მ.ს., შპს მს ს შპს ზესტაფონის სავაჭრო ცენტრიდან სესხი მიღებული აქვს 0

	2020წელი შე
2019 წელს 01, იანვრისათვის	0
2019 წელს მიღებული სესხი	0
2018 წელს დარიცხული პროცენტი	0
2020 წლის 1 იანვრისათვის	0

- 2) კომპანიის 25% წილის მფლობელია ომარ სამადაშვილი რომელსაც დაფუძნებული ჰყავს შპს ბიემსი 2011 სადაც ფლობს 66 % ბი ემ სი 2011 აწვდის კომპანიას სამეურნეო საქონელს.

	2020წელი შე
2020წელი 01 იანვრისათვის	2755
2019 წელს მოწოდება	46787
2019წელს გადახდილი საქონლის ღ-ბა	(49542)
2021 წლის 01 იანვრისათვის	0

- 3) კომპანიის 75 % წილის მფლობელია შპს მს რომელიც დამფუძნებელია შპს ეკომეტალის წილი 75 %

გაცემულია სესხი შპს ეკომეტალზე 471836,45

	2020 წელი შე
2020 წლის 1 იანვრისათვის	32228
2020 წელს გაცემული სესხი	467376
2020 წელს დარიცხული პროცენტი	4460.5
2020 წელს გადახდილი სესხი	408445
2021 წლის 1 იანვრისათვის	95619

- 4) კომპანიის 25% წილის მფლობელია ომარ სამადაშვილი, რომელსაც დაფუძნებული ჰყავს შპს ტრანსკომპანია 2013 რომელიც თავის მხრივ არის შპს მეტალლაინი-ს 66% მფლობელი აწვდის კომპანიას საქონელს და მომსახურეობას

	2020 წელი შე
--	-----------------

2020 წლის 1 იანვრისათვის	0
2020წელს მიწოდება	0

შპს ზესტაფონის სავაჭრო ცენტრიდან გაცემულია სესხი შპს მეტალლაინზე

	2020 წელი ფე
2020 წლის 1 იანვრისათვის	71
2020 წელს გაცემული სესხიდან სესხის	368964,5
2020 წელს გადახდილი სესხი	(369035,5)
2021წლის 1 იანვრისათვის	0

ასევე შპს მარჯანი-5 შპს ზესტაფონის სავაჭრო ცენტრიდან მიღებული აქვს სესხი

	2020 წელი ფე
2020 წლის 1 იანვრისათვის	26992,50
2020 წელს გაცემული სესხი და დარიცხული პროცენტი	76434,9
2020 წელს გადახდილი სესხის ძირი	(76000)
2021 წლის 1 იანვრისათვის	27427,4

5

ასევე შპს ზესტაფონის სავაჭრო ცენტრი შპს ეკომეტალს უწევს მომსახურებას და შპს ეკომეტალიდან ხდება ნარჩენ წიდა მოწოდება

	2019წელი ფე
2020 წლის 1 იანვრისათვის	27934
2020წელს მიწოდება /მომსახურება/	4740
2020 წელს გადახდილი მოწოდება საქონლის ღ-ბა	(19255,16)
2021წლის 1 იანვრისათვის	13402

6) კომპანიის 75% წილის მფლობელია შპს მ.ს. რომელსაც დაფუძნებული ჰყავს შპს მარჯანი-5 სადაც ფლობს 50% წილს., ასევე აღნიშნული კომპანიის დამფუძნებელი ომარ სამადაშვილი 50% წილით. შპს ზესტაფონის სავაჭრო ცენტრს შპს მარჯანზე გაცემული აქვს სესხი და ასევე ემსახურება კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებებით

	2020 წელი ფე
2020 წლის 1 იანვრისათვის	12881
2020 წელს გაწეული მომსახურება	5251
2020 წელს გადახდილი მომსახურების ღირებულება	(0)
2021 წლის 1 იანვრისათვის	18132

შპს ზესტაფონის სავაჭრო ცენტრს ასევე გაცემული აქვს სესხი შპს მარჯანი-5ზე

	2020 წელი ფე
2020 წლის 1 იანვრისათვის	26992,5
2020 წელს გაცემული სესხი და დარიცხული პროცენტი	76434,9
2020 წელს გადახდილი სესხი	76000
2021 წლის 1 იანვრისათვის	27427,4

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელებზე გაცემული ხელფასი

	2020 ფე
შრომის ანაზღაურება მთლიანად	207990

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 25,09,2021წელი

დირექტორი

/თამაზ ექიზაშვილი/

